



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №28

2017 წლის 22 დეკემბერი
ქალაქი ახალციხე

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

1. „ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №23 დადგენილება.]
2. „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 19 დეკემბრის №25 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე-

გელა ნოზაძე